საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030196288238917

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/46280 **14 / ივლისი / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის N381 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მის მიერ ადმინისტრირებად „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების (ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატის – სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ საყოფაცხოვრებო აბონენტების) დახმარების მიზნით, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი სარეიტინგო ქულა ტოლია ან არ აღემატება 70 000-ს (სოციალურად დაუცველი ოჯახები) და რომელთა მოხმარება (30 კალენდარულ დღეში) არ აღემატება 301 კვტ/სთ-ს, 2016 წლის 1 მარტიდან ყოველთვიურად (30 კალენდარულ დღეში) გაიცეს სუბსიდია 1 კვტ/სთ-ზე 3.95064 თეთრის ოდენობით.

გაცნობებთ, რომ სს კახეთის „ენერგო-დისტრიბუციის“ მიმდინარე წლის 4 ივლისის N1542 წერილით 2017 წლის იანვრის თვეში დამატებით-6 აბონენტის სუბსიდირების მოცულობამ შეადგინა 15 ლარი, თებერვლის თვეში-6 აბონენტის 21 ლარი, მარტის თვეში-7 აბონენტის 16 ლარი, აპრილის თვეში-8 აბონენტის-17 ლარი, მაისის თვეში-10 აბონენტის 24 ლარი და ივნისის თვეში- 11 474 აბონენტის 32 329 ლარი. სულ ჯამურად 2017 წლის იანვარი-მაისის (დამატებითი სია) და ივნისის თვეში სუბსიდირების მოცულობამ შეადგინა 32 422 ლარი.

ზემოაღნიშნული დადგენილების მე-6 მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოგვიყოთ 32 422 ლარი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გათვალისწინებული „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება“ პროგრამის (პროგრამული კოდი- 35 02 02) „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებულ ასიგნებაში.

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი — ნოე ქინქლაძე

6. [illegible]